დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი № 13

07.11.2019 წელი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 07 ნოემბერს 11: 00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ აფრასიძე

მდივანი: ლომა გადრანი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1: თეიმურაზ აფრასიძე

2: დავით მენაბდიშვილი

3: აიდინ შარიფოვი

4: ზაურ გრიგალაშვილი

5: შოთა აკობაშვილი

კომისიის სდომას ესწრებოდა:

კომისიის სხდომას ესწრება კომისიის 5 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდოამარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. **,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის №62 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

2. **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე**

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს:

თეიმურაზ აფრასიძე - 1 2020 წლის სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში: ვინაიდან რეგ ფონდიდან დაფინანსების ლიმიტი შეამცირეს 2562000 ლარიდან 1733219 ლარამდე, რეგ პროექტები უნდა განხორციელებულიყო 7 პროექტი, ხოლო შემცირების შემდგონ ზემოდ აღნიშნული ლიმიტის

ფარგლებში რეგ ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება 5 პროექტი, ამიტომ სოდ; მაშავერის და აზ კაკლიანის გზების თანადაფინანსება გაიზარდა რათა თანხა არ დარჩენილიყო.

მოისმინეს:

თეიმურაზ აფრასიძე -2 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზგვრის თაობაზე:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სოფ მაშავერაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (900 გრძ.მ) (19 ქულა)

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტ სოფელ კაკლიანში (აზერბაიჯანული) ცენტრალური გზიდან სარიტუალო დარბაზამდე მისასვლელი გზის მოწყობა (570 გრძ.მ) (18 ქულა);

გ) ამამლოს ახალ სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა (500 გრძ.მ) (15 ქულა);

დ) სოფ დაგარახლოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (850 გრძ.მ) (13 ქულა);

ე) სოფ კიზილაჯლოს შიდა გზების რეაბილიტაცია (სასაფლაომდე მისასვლელი გზა) (1165 გრძ.მ) (13 ქულა);

1. აზრი გამოთქვეს: ზაურ გრიგალაშვილმა , დავით მენაბიშვილმა და შოთა აკობაშვილმა განსხვავებული აზრი არ დაფიქსირდა.

1. დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

კომისიის თავმჯდომარე: თ. აფრასიძე

მდივანი: ლ.გადრანი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომებში მონაწილეობის აღრიცხვის ფურცელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. თეიმურაზ აფრასიძე
2. ნიაზ მაჯითოვი (საპატიო)
3. გეგი უმფრიანი (საპატიო)
4. აიდინ შარიფოვი
5. ზაურ გრიგალაშვილი
6. დავით მენაბდიშვილი
7. შოთა აკობაშვილი
8. ემილ იბრაგიმოვი (საპატიო)

კომისიის თავმჯდომარე: თ. აფრასიძე

თარიღი: 07.11.2019 წ.